კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	**ტურიზმი** **Tourism**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმში/Master of Business Administration (MBA) in Tourism
ფაკულტეტის დასახელება	აგრარული ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	ასოც. პროფესორი იზოლდა ხასაია
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა - 4 სემესტრი, 120 ECTS კრედიტი: 65 ECTS კრედიტი სპეციალობის კურსები, 10 ECTS კრედიტი - თავისუფალი კრედიტები, 5 ECTS კრედიტი - არჩევითი კრედიტები, 10 ECTS კრედიტი - პროფესიული პრაქტიკა, 30 ECTS კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი.
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	19.04.2012, 28.05.2015, 22.09. 2016, 15.09.2017

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის და მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე პირი, რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო და პროგრამაზე მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდას სპეციალობაში. ასევე, გაივლის ტესტირებას უცხო ენაში ცოდნის დონის დადგენის მიზნით (ტესტირების შედეგებით განისაზღვრება სტუდენტის მიერ B2 დონის მისაღწევად აუცილებელი კრედიტების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების ფარგლებში).

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია ტურიზმის დინამიური და მზარდი ინდუსტრიის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ–ჩვევების, მეცნიერული კვლევებისა და კრეატიული მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ:
საჭირო ცოდნა და უნარები ტურისტულ ინდუსტრიაში წარმატებული კარიერისათვის და შეეძლებათ დაიკავონ მმართველობითი პოზიციები ტურისტულ ორგანიზაციებში, სახელმწიფო სტრუქტურების შესაბამის სამსახურში, მონაწილეობა მიიღონ ტურიზმის სახელმწიფო დაგეგმვასა და განვითარების პოლიტიკის განსაზღვრაში, შექმნან და მართონ საკუთარი ბიზნესი.

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)

ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაცია ენიჭება სტუდენტს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სწავლების მეორე საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი დონე.

ცოდნა და გაცნობიერება	ღრმად და საფუძვლიანად იცის საქართველოს ტურისტული პოტენციალი დამისი განვითარების შესაძლებლობები ტურისტული ბიზნესისა და ახალი ტურისტული პროდუქტის - ეკო-, აგრო-, კულტურული და საკურორტო ტურების დაგეგმვისა და ორგანიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით, მეცნიერული კვლევის მეთოდები ტურიზმში, ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, გლობალური ინტეგრაციული პროცესების პირობებში ტურისტული ბიზნესის დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლის სპეციფიკა, ტურისტული კომპანიის ფინანსური რესურსების მართვის მეთოდები, ტურისტული საწარმოს ბიზნეს-სტრატეგიის შემუშავების მეთოდები, საერთაშორისო ტურიზმის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია:

	▪ ახალი ტურისტული პროდუქტის დაგეგმვა და შემუშავება თანამედროვე ტურისტული ბაზრის მოთხოვნების, ბაზრის მეცნიერული კვლევის, სტრატეგიული ხედვისა და ტურიზმის საერთაშორისო გამოცდილებისა და ინოვაციური მიდგომების, ქვეყნის მდგრადი განვითარების სახელმწიფო პოლიტიკასთან მისადაგების საფუძველზე; ▪ ტურისტული კომპანიების ფინანსური რესურსების მართვა; ▪ ტურისტული ინდუსტრიისათვის დამახასიათებელი საფრთხეების გამოვლენა და მართვა; ▪ კვლევის შედეგების დამუშავება თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, არსებული სიტუაციების შეფასება, საანალიზო მაჩვენებელთა შორის ანალიზური კავშირის დადგენა, მათი მოდელირება და ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გათვალისწინება; ▪ შეძენილი ცოდნის საფუძველზე ტურისტული ბიზნესის ადმინისტრირების ახალ ან გაუთვალისწინებელ გარემოში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისა და რისკების შეფასების მიზნით ანალიზისა და პროგნოზირების უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება; ▪ კვლევითი სამუშაოს დამოუკიდებლად წარმოება და შესრულება წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების გათვალისწინებით;
დასკვნის უნარი	▪ ტურისტული ბაზრის კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მიღებული საკუთარი მონაცემებისა და სხვა წყაროებით მოპოვებული ინფორმაციის შეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე, ლოგიკური დასკვნების ჩამოყალიბება და წინადადებების შეთავაზება; ▪ დაგროვილი ცოდნისა და კვლევის შედეგების ინოვაციური მიდგომების, ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება;
კომუნიკაციის უნარი	• თავისი ნაშრომის/ჩატარებული კვლევის შედეგების და დასკვნების საჯარო წარმოდგენა, დასაბუთება და დაცვა ზეპირი და წერილობითი სახითქართულ და უცხოურ ენებზე, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან; ▪ კავშირის დამყარება ტურისტული ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ თანამშრომლობის მიზნით;
სწავლის უნარი	▪ შეძენილი ცოდნისა და უნარების, საკუთარი შესაძლებლობების ობიექტურად და კრიტიკულად შეფასების საფუძველზე, დამოუკიდებლად გაიფართოოს ცოდნის არეალის საზღვრები; ▪ აიმაღლოს და განივითაროს კვლევაში დახელოვნების ხარისხი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტურანტურა) ასათვისებლად;
ღირებულებები	▪ პროფესიული და სოციალური პასუხისმგებლობის, სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში აკადემიური პატიოსნებისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვა; ▪ საკუთარი და სხვისი კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა და ზრუნვა მისი დაცვისა და შენარჩუნებისათვის; ▪ გააცნობიეროს გლობალური და რეგიონული ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების აქტუალობა და გაითვალისწინოს პრაქტიკული საქმიანობისა და კვლევითი მუშაობის წარმართვის პროცესში;

სწავლებისმეთოდები

• **საკონტაქტო:**

√**ლექცია** - სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა, განსახილველი თემის ან რაიმე პრობლემის ახსნა-განმარტება. იგი ინტერაქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს და ხდება სტუდენტების ჩართვა თეორიული მასალის განხილვის პროცესში; სასწავლო კურსის ფარგლებში ტარდება ლექცია პრეზენტაციებით. ლექციები ტარდება თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.

✓ **პრაქტიკული მეცადინეობა** - ლექციაზე განხილული თემატიკისა და საკითხების გაცნობიერება,

პრაქტიკული სახის ამოცანებზე სტუდენტებთან მუშაობა და სალექციო მასალის გაცნობიერება.

√ **ჯგუფში მუშაობა** - სტუდენტების მიერ ერთობლივი ან ინდივიდუალური მცდელობა წინასწარ მიცემული საკითხის, თემის, პრობლემის და ა.შ. შესახებ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია. მიზანშეწონილია გაუგებარი და ძნელად გასაგები საკითხების განმეორებით განხილვა;

საკონტაქტო ფორმის დროს გამოიყენება სწავლების ისეთი ხერხები, როგორიცაა: საქმიანი თამაშები; ვერბალური ანუ ზეპირი ვიზუალური მეთოდი;დისკუსია/დებატები;პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; შემთხვევის ანალიზის; გონებრივი იერიშის; დემონსტრირების; ინდუქციური; დედუქციური; ანალიზის; სინთეზის; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პრეზენტაცია.

- **სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა** - სასწავლო გეგმით გათვალისწინებულიკურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობაა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და ფინალური გამოცდების მომზადებისათვის.
- **პროფესიული პრაქტიკა** - სასწავლო მეცადინეობის სახე, რომლის პროცესში სტუდენტები პრაქტიკის ხელმძღვანელის მითითებით დამოუკიდებლად ასრულებენ განსაზღვრული პროგრამით გათვალისწინებულ საწარმოო დავალებებს მომქმედ ორგანიზაციაში (აწსუ პედაგოგიური და პროფესიული პრაქტიკის სამსახურთან შეთანხმებით) და შეიძენენ პრაქტიკულ ცოდნასა და პროფესიულ უნარ-ჩვევებს კონკრეტული ტურისტული საწარმოს მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის სფეროში, რათა მან წარმატებით შეძლოს რეალური კონკრეტული საწარმოს პირობებში მუშაობის სტრატეგიული და მიმდინარე გეგმის დასახვა და განხორციელება, ასევე წამოჭრილი პრობლემური ამოცანების განმსაზღვრელი ფაქტორების გააზრება-დადგენა და მათი გადაჭრის გზების ჩამოყალიბება, შემუშავება და რეალიზაცია.
- **სამაგისტრო ნაშრომი** - სტუდენტის ანგარიშია არჩეული კონკრეტული საკითხის, ან პრობლემის შესწავლის და გადაჭრის მიზნით. იგი განსაზღვრული დამოუკიდებელი კვლევის შედეგია საგნობრივ-პროფესიულ სფეროში, რომელშიც სტუდენტი წარმოაჩენს კვლევის საგნის შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დონეს და დასახული ამოცანების გადაჭრის უნარს.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამით გათვალსწინებული 120 ECTS კრედიტის ათვისება: 65 ECTS კრედიტი სპეციალობის კურსები, 10ECTS კრედიტი - თავისუფალი კრედიტები, 5 ECTS კრედიტი - არჩევითი კრედიტები, 10 ECTS კრედიტი - პროფესიული პრაქტიკა, 30 ECTS კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი.

სასწავლო გეგმა იხ.დანართის სახით!

იხ დანართი 1.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებებით განსაზღვრული პუნქტების გათვალისწინებით. აკაკი წერეთლს სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა შეფასების სისტემა შეიცვალა (დადგენილება №45 (16/17) 30 ივნისი, 2017 წელი),

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში *(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)*-**30ქულა;**

შუალედური გამოცდა- 30 ქულა;

დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს **არანაკლებ 18 ქულას.**

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (**B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (**C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის **შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში** (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო ნაშრომის მიმართ).

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.

თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული **შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით**.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსების სილაბუსით.

დასაქმების სფეროები

შეეძლებათ დაიკავონ მმართველობითი პოზიციები ტურისტულ ორგანიზაციებში, სახელმწიფო სტრუქტურების შესაბამის სამსახურში, მონაწილეობა მიიღონ ტურიზმის სახელმწიფო დაგეგმვასა და განვითარების პოლიტიკის განსაზღვრაში, შექმნან და მართონ საკუთარი ბიზნესი.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები

აწსუ-ს კორპუსები, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები; ტურიზმისა და ლანდშატური არქიტექტურის დეპარტამენტში არსებული სალიტერატურო ფონდი, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრის აუდიტორიები, ჭავჭავაძის №21 სასწავლო კორპუსში განთავსებული კომპიუტერული კლასები და არსებული ტექნიკა (მათ შორის. საპროექციო აპარატურა), სამედიცინო პუნქტი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, პანდუსები (ინკლუზივი სტუდენტებისათვის) და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები:

პროგრამას ემსახურება სხვადასხვა მიმართულების აკადემიური პერსონალი და მოწვეული პრაქტიკოსი სპეციალისტი: პროფესორი - 1, ასოცირებული პროფესორი– 8, ასისტენტ პროფესორი - 1, პრაქტიკოსი სპეციალისტი - 1, მოწვეული სპეციალისტი - 2.

სასწავლო გეგმა:

საგანმანათლებლო პროგრამა: ტურიზმი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმში

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი				დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	
				აუდიტორული	შუალედ. დასკვნითი გამოცდები							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებული სასწავლო კურსები											
1.1	მეცნიერული კვლევის მეთოდები	5	125	45	3	77	1/2/0/0	5				
1.2	აგროტურიზმი	5	125	45	3	77	1/0/0/2	5				
1.3	რეკრეალოგია და კურორტოლოგია	5	125	45	3	77	1/0/0/2	5				
1.4	ეკოლოგიური ტურიზმი	5	125	45	3	77	1/0/0/2	5				
1.5	კულტურული ტურიზმი	5	125	45	3	77	1/0/0/2	5				
1.6	სპეციალურ ღონისძიებათა მენეჯმენტი	5	125	45	3	77	0/3/0/0		5			
1.7	ადამიანური რესურსების მართვა ტურიზმში	5	125	45	3	77	1/0/0/2		5			
1.8	ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში	5	125	45	3	77	1/0/0/2		5			
1.9	დაზღვევა და უსაფრთხოება ტურიზმში	5	125	45	3	77	1/2/0/0			5		
1.10	ტურისტული საწარმოს ბიზნეს-სტრატეგია	5	125	45	3	77	1/0/0/2			5		
1.11	ტურიზმის ეროვნული და რეგიონული დაგეგმვა	5	125	45	3	77	1/2/0/0			5		
1.12	ინოვაციები ტურიზმში	5	125	45	3	77	1/0/0/2			5		
1.13	საერთაშორისო ტურიზმი	5	125	45	3	77	1/0/0/2			5		
1.14	პროფესიული პრაქტიკა	10	250	-	3	67			10			
1.15	სამაგისტრო ნაშრომი	30	750	40	3	707	0/40/0/0				30	1.1-1.14
2	ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები											
2.1	უცხო ენა 3	5	125	45	3	77	0/3/0/0			5		
2.2	ტურიზმის მდგრადიგანვითარება (ქართ.)						1/2/0/0					
2.3	ტურიზმის მდგრადი განვითარება (ინგ.)						1/2/0/0					
2.4	ტურისტული დესტინაციის განვითარება(ინგ)/						1/2/0/0					

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი				დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	
				აუდიტორული	შუალედ. დასკვნითი გამოცდები							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
3	თავისუფალი კომპონენტი											
3.1	თავისუფალი კრედიტი 1	5	125	45	3	77		5				
3.2	თავისუფალი კრედიტი 2	5	125	45	3	77			5			
	სულ	120	3000	760	54	2006		30	30	30	30	

*გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: **კრ**. - კრედიტი, **დამ** - დამოუკიდებელი მუშაობა;**ლ/პ/ჯგ** - ლექცია/პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა;
** თავისუფალ კრედიტებს სტუდენტი ირჩევს აწსუ-ში მოქმედი სამაგისტრო პროგრამებიდან. ამასთან, პროგრამა სტუდენტებს (სურვილის შემთხვევაში) თავაზობს აირჩიონკურსები „ უცხო ენა (ინგლისური)“